სტუდენტთა ჟურნალი სოციალურ მეცნიერებებში

№1, აპრილი, 2017

Student Journal of Social Sciences

საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები: ელექტორალური ქცევის გეოგრაფიული თავისებურებები

დავით კვარაცხელია

საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: dato244@yahoo.com

იზა ვაშაკიძე

საზოგადოებრივი გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: vashakidze.iza@mail.ru

აბსტრაქტი

2016 წლის ოქტომბერში საქართველოს მოსახლეობამ დამოუკიდებლობის 25 წლის განმავლობაში მეცხრე მოწვევის პარლამენტი აირჩია. ელექტორალური გეოგრაფია არჩევნების სივრცით თავისებურებებს აღწერს და მის მთავარ ამოცანას ამ თავისებურებების ახსნა წარმოადგენს. ელექტორალური გეოგრაფია საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ამომრჩეველთა ქცევის გეოგრაფიული კონტექსტი, ანუ ის, თუ რა ტენდენციებს ავლენს ელექტორატი გეოგრაფიული ნიშნის მიხედვით. საქართველოში ელექტორალური გეოგრაფიის საკითხების შესწავლას განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა 2008 წლიდან. ნაშრომის მიზანია წარმოაჩინოს საქართველოს მოსახლეობის ელექტორალური ქცევის გეოგრაფიული (ტერიტორიული) განსხვავებები. ნაშრომში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ელექტორატის აქტივობის და ხმის მიცემის რეგიონული თავისებურებების გამოვლენაზე. ქართველ ამომრჩეველს, ისევე როგორც წინა არჩევნებზე, 2016 წელსაც ახასიათებდა რამდენიმე გამოკვეთილი ტენდენცია. ეს ტენდენციები განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა რეგიონული თავისებურებების კვლევისას. განსხვავებები რეგიონებსა და ოლქებს შორის ნათლად აისახა ამომრჩეველთა აქტივობის შესახებ არსებული მონაცემებისა და ხმის მიცემის რეგიონული თავისებურებების დეტალური შესწავლის შემდეგ. ნაშრომი მოკლე წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს იმ გეოგრაფიული მახასიათებლების შესახებ, რაც ქართველმა ამომრჩეველმა უკანასკნელ ორ არჩევნებში გამოავლინა.

საკვანძო სიტყვები: საპარლამენტო არჩევნები, ელექტორატი, რეგიონი, საქართველო

არჩევნების სივრცითი თავისებურებების აღწერა და ახსნა ელექტორალური გეოგრაფიული კვლევის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. ელექტორალური გეოგრაფია საშუალებას იძლევა გამოვავლინოთ ამომრჩეველთა ქცევის გეოგრაფიული კონტექსტი. საქართველოში ელექტორალური გეოგრაფიის საკითხების შესწავლა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო. საკითხის განხილვას განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობა 2008 წლიდან. ქართველი ამომრჩევლების ელექტორალური თავისებურებების შესახებ არსებობს როგორც ქართველი (რ.გაჩეჩილაძე; გ.გოგსაძე; დ.სიჭინავა;), ისე უცხოელი (Beard M.; Welt C.;) მკვლევარების ნაშრომები.

ქართველი ამომრჩევლის ელექტორალური თავისებურებების საკვლევად გამოყენებულია კვლევის შემდეგი მეთოდოლოგია:

- სტატისტიკური მეთოდები - საქართელოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების განზოგადება და მათი ანალიზი.
- გის ტექნოლოგიები, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა ციფრული რუკები.

რაც შეეხება სალიტერატურო მასალას, კვლევას საფუძვლად უდევს ზემოთ ჩამოთვლილი ავტორების მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ანალიზი.

კვლევა დაეყრდნო შემდეგ ჰიპოთეზას: არსებული შრომების საფუძველზე იკვეთება ტენდენცია, რომ საქართველოს ელექტორატის ქცევაში ვლინდება თვალსაჩინო რეგიონული განსხვავებები. ჩვენმა კვლევამ აღნიშნული ჰიპოთეზა დაადასტურა.

არჩევნების გეოგრაფიული ასპექტების შესწავლისას ერთ-ერთი უმთავრესი მოსახლეობის აქტივობაში გამოვლენილი ქცევების და ტენდენციების ანალიზია. არჩევნებზე მისვლა საქართველოში ნებაყოფლობითია და იგი მოქალაქეობრივ ვალს წარმოადგენს, ზოგ ქვეყანაში კი (მაგ: თურქეთში, შვეიცარიაში, საბერძნეთში და ა.შ.) სავალდებულოა და არ მისვლის შემთხვევაში მოქმედებს სპეციალური სანქციები. მოსახლეობის აქტივობა განსაზღვრავს არჩევნების სანდოობის ხარისხს და მეტყველებს იმაზე, თუ რამდენადაა ქვეყნის მოსახლეობა ჩართული პოლიტიკურ ცხოვრებაში. აქტივობაზე ბევრი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია მიგრაცია, როდესაც მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ემიგრაციაშია, ეს უარყოფითად აისახება აქტივობაზე, რაზეც ნაშრომის მეორე ნაწილში უფრო დეტალურად შევჩერჩებით. თუ არჩევნების ისტორიას გადავხედავთ, შევნიშნავთ, რომ საქართველოში მოსახლეობის აქტივობა არჩევნებზე ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავებულია სხვა წლების მაჩვენებლებისგან, საშუალოდ კი, ამომრჩეველთა ნახევარი მაინც აფიქსირებს თავის აზრს. ცალკე კვლევის საგნად შეიძლება ავიღოთ ის გარემოებები, თუ რა ფაქტორები განაპირობებს მსგავს ელექტორალურ ქცევებს ქართველ ელექტორატში.

თავდაპირველად, განვიხილოთ 2016 წელს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებზე დაფიქსირებული სტატისტიკა და შევადაროთ იგი 2012 წლის ანალოგიურ მონაცემებს. 2016 წლის არჩევნებზე ამომრჩეველთა აქტივობა, 2012 წელთან შედარებით, თითქმის 8%-ით შემცირდა. 2012 წელს საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ამომრჩეველთა 59.5%-მა[1], ხოლო 2016 წელს - 51.8%-მა. მოსახლეობის აქტივობაში განსხვავებები ნათლად იკვეთება რეგიონულ ჭრილში. მაგალითისთვის, საქართველოში ყველაზე აქტიურია გურიისა და რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მოსახლეობა, სადაც 2016 წელს ამომრჩეველთა 60%-ზე მეტმა გააკეთა არჩევანი. 2012 წლის არჩევნებზეც აღნიშნული რეგიონების მუნიციპალიტეტები აქტიურობდნენ განსაკუთრებულად. 2012 წელს ლანჩხუთში, ამბროლაურში, საჩხერესა და ასპინძაში აქტივობა 70%-ს აჭარდებებდა, 2016 წელს იგივე მაჩვენებელი საგრძნობლად შემცირდა საჩხერეში, ხარაგაულსა და განსაკუთრებით ასპინძაში (70%-ზე მეტი იყო, ჩამოვიდა 55%-ზე დაბლა). ტენდენციური აღმოჩნდა ის ფაქტიც, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა უფრო აქტიურია არჩევნებზე, ვიდრე აღმოსავლეთის. აღმოსავლეთ საქართველოში ყველაზე პასიური, ისევე როგორც 2012 წლის არჩევნებზე, ქვემო ქართლი იყო (თუმცა, ცალკე წალკის მუნიციპალიტეტის აქტივობა 2016 წელს გაიზარდა). მცხეთის

[1]სტატიაში გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები მიღებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 და 2016 წლების საპარლამენტო არჩევნების საბოლოო შედეგების ადამუშავების შედეგად

მუნიციპალიტეტში აქტივობა შენარჩუნდა, თუმცა, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის აქტივობა შემცირდა. რაც შეეხება აჭარას, აქ ნათლად იკვეთება განსხვავებები ზემო და ქვემო აჭარის ამომრჩევლის ქცევას შორის. ეს გამოვლინდა აქტივობაშიც: 2012 წელს და 2016 წელსაც ზემო აჭარა უფრო აქტიურია ვიდრე ქვემო. აქტივობა ზოგ მუნიციპალიტეტში ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე დიდ ქალაქებში, არადა მოსახლეობის თითქმის 40% სწორედ მსხვილ ქალაქებში ცხოვრობს (თბილისში, რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში).

2016 წლის არჩევნებზე ასევე აქტივობის ვარდნა შეინიშნებოდა ცალკეულ დიდ ქალაქებშიც. რუსთავში, ქუთაისსა და ბათუმში თითქმის 10-10%-ით შემცირდა, ხოლო თბილისში - მთელი 14%-ით (2012 წელის არჩევნებზე მოვიდა 61.9%, მაშინ როცა 2016 წელს მოვიდა 47.9%). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში შენარჩუნდა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, ცენტრალური უბნების ამომჩევლები უფრო აქტიურები არიან, ვიდრე გარე უბნების. ვაკე-საბურთალოს რაიონის აქტივობა თითქმის 58%-ია, როცა ისანი-სამგორის იგივე მაჩვენებელი 44 %-ს შეადგენს. აღნიშნული ფაქტი განამტკიცებს ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ მიგრაციული პროცესები ამომრჩეველთა ქცევაზე გავლენას ახდენს. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ



დიაგრამა 1



თბილისში, ელექტორატის აქტივობაში უბნებს შორის არსებული განსხვავებები გამოწვეულია შედარებით ღარიბი უბნებიდან მოსახლეობის მიგრაციით საზღვარგარეთ.

აქტივობის შესახებ ინფორმაციის შეჯამებისას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსახლეობის აქტივობა რეგიონების მიხედვით 2012 და 2016 წლებში ასე თუ ისე მსგავსია. შეიცვალა ზოგიერთი მუნიციპალიტეტის აქტივობა და განსაკუთრებით შემცირდა დიდი ქალაქების პროცენტული მაჩვენებლები, სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ფაქტორი იმისა, რომ სტატისტიკურ მონაცემებში საერთო მასშტაბით ცვლილებები აღმოჩნდა. აღსანიშნავია ასევე შენარჩუნებული ტენდენციები რეგიონებს შორის არსებულ განსხვავებებში, თუ როგორ განსაზღვრავს გეოგრაფიული ფაქტორი ქართველი ამომრჩევლის ელექტორალურ ქცევას.

2016 წლის ოქტომბერში ქართველმა ამომრჩეველმა მეცხრე მოწვევის პარლამენტი აირჩა. ხელისუფლებაში დარჩა პარტია ,,ქართული ოცნება'', რომელმაც 2012 წელს დაამარცხა ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''. წინა არჩევნებისგან განსახვავებით, შედეგები მოულოდნელი არ ყოფილა.

2012 წლის არჩევნებზე საზოგადოება მკვეთრად პოლარიზებული იყო და მხოლოდ ორ პოლიტიკურ ძალას (,,ენმ'' და ,,ქართული ოცნება'') ჰქონდა ამომრჩეველთა ძირითადი ნაწილის მხარდაჭერა. 2016 წელსაც აღნიშნული პარტიები წარმოადგენდნენ მთავარ პოლიტიკურ ძალებს, თუმცა, წინა არჩევნებისგან განსხვავებით, პარლამენტში კიდევ ერთი პარტია ,,პატრიოტთა ალიანსი'' შევიდა. აღსანიშნავია, რომ თუ 2012 წელს იმ პარტიებმა, რომლებიც პარლამენტში ვერ შევიდნენ ჯამში ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 5% მიიღეს, 2016 წელს პარლამენტს მიღმა დარჩენილი პარტიების მიერ მიღებულმა ხმებმა ჯამში, საერთო ხმების 20% შეადგინა. საკმაოდ მოულოდნელი იყო ის შედეგი, რაც პარლამენტში შესულმა მესამე პოლიტიკურმა ძალამ ,,პატრიოტთა ალიანსმა'' აჩვენა. ამ პარტიამ, რომელიც აღიქმება, როგორც მკვეთრად ნაციონალისტური ძალა, შეძლო მინიმალური საარჩევნო ბარიერის გადალახვა(5.00%) და 6 მანდატით შევიდა პარლამენტში. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ შეძლო 27 მანდატის მოპოვება პროპორციული სიით. მაჟორიტარული სიით კი ვერც ერთი ადგილი ვერ მოიპოვა 2016 წლის მოწვევის პარლამენტში. რაც შეეხება ,,ქართულ ოცნებას'', სახელისუფლებო პატიამ შეძლო მოეპოვებინა საკონსტიტუციო უმრავლესობა (113 მანდატი) და 115 დეპუტატით აღმოჩნდა პარლამენტში. სხვა



დიაგრამა 2

პარტიებისგან განსხვავებით, ,,ქართულმა ოცნებამ'' გაიმარჯვა თითქმის ყველა მაჟორიტარულ ოლქში, საიდანაც საბოლოოდ ერგო 71 ადგილი, ხოლო დარჩენილ 44 მანდატს ეს პარტია პროპორციული სიით დაეუფლა. აღსანიშნავია, რომ 2012 წლის არჩევნებზე ,,ქართულმა ოცნებამ'' პროპორციული სიით შეძლო საერთო ხმების 55%-ის მოპოვება და ვერ მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლესობა, ხოლო 2016 წელს მან ხმების 48% მიიღო და მოახერხა პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით შესულიყო. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საარჩევნო სისტემას აქვს ხარვეზები.

გამარჯვებულმა პარტიამ არჩევნების პირველ ტურში ხმების 48,7% მიიღო, ,,ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ 27,1%, ხოლო პატრიოტთა ალიანსმა მხოლოდ 0,01%-ით გადალახა 5%-იანი ბარიერი.

ქართველი ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის გეოგრაფიული თავისებურებების კვლევისას უნდა დავადგინოთ ელექტორალური პროცესის რა რეგიონალური თავისებურებები გამოვლინდა 2016 წლის არჩევნებზე, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, მოვახდინოთ შედარებითი ანალიზი 2012 წლის არჩევნებთან, რათა შევისწავლოთ ამ ორ არჩევნებში ელექტორატის მიერ გამოვლენილი ტენდენციური ხასიათის ქცევები და ასევე, დავინახოთ ის ცვლილებები, რაც ამომრჩეველმა 4 წლიანი საარჩევნო ციკლის შემდეგ გამოავლინა.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევის საგანი არის ქართველი ელექტორატის რეგიონული თავისებურებები, დავიწყოთ მონაცემების განხილვა საქართველოს რეგიონების მიხედვით. განსხვავებით 2012 წლისგან, ,,ქართული ოცნების'' ხმების პროცენტული განაწილება რეგიონების მიხედვით არ იყო ძალიან მრავალფეროვანი და ძირითადად მერყეობდა 45-55%-ს შორის. რეგიონი, რომელიც სახელისუფლებო ძალას კვლავ მნიშვნელოვანი რაოდენობით აძლევს ხმას, ეს არის ჯავახეთი, სადაც ქართული ოცნების მიერ მიღებული ხმები, საერთო რაოდენობის 58,6%-ია. გარდა ამისა, მას მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა (55%) მხარი დაუჭირა რაჭა-ლეჩხუმსა და გურიაში.

აღსანიშნავია, რომ ბევრ რეგიონში მმართველი პარტიის ელექტორატმა საკმაოდ იკლო. ასეთი რეგიონებია: აჭარა, შიდა ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, სადაც 2012 და 2016 წლების მონაცემებს შორის სხვაობა საშუალოდ 10%-ია. ცალკე აღნიშვნის ღირსია თბილისი, სადაც ,,ქართული ოცნების'' მიერ მიღებული ხმების პროცენტული მაჩვენებელი თითქმის 20%-ითაა შემცირებული. ასევე, მნიშვნელოვანია გამოვყოთ საჩხერე, სადაც 2012 წელს ,,ქართულ ოცნებას'' მხარს უჭერდა ამომრჩეველთა თითქმის 94%, ხოლო 2016 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 88%-მდე.

სხვა მიზეზებთან ერთად, რამაც გამოიწვია ,,ქართული ოცნების'' პოპულარობის კლება, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2016 წლის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობდა პარტია ,,ქართული ოცნება'', 2012 წელს კი იგი იყო ერთ-ერთი შემადგენელი (მთავარი) ამავე სახელწოდების კოალიციისა, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ სხვადასხვა ნაკლებად პოპულარული პარტიები, თუმცა მოსახლეობის ნაწილის მხარდაჭერა მათაც მიიღეს 2016 წლის არჩევნებზე. გარდა ამისა, ,,ქართული ოცნება'' წარმოადგენდა სახელისუფლებო პარტიას, ამიტომ 2012 წლის არჩევნების შემდეგ მოსახლეობის მოლოდინმა პარტიის, როგორც სახელისუფლებო ძალის მიმართ იმატა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ,,ქართული ოცნების'' პოპულარობის კლება განაპირობა იმან, რომ მან ვერ გაამართლა საზოგადოების ნაწილის მოლოდინი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.



რიგით მეორე და ოპოზიციურ პარტიებს შორის ყველაზე პოპულარული ძალა ,,ერთანი ნაციონალური მოძრაობაა''. 2012 წლის შედეგებთან შედარებით, ამ პარტიამ განახევრებული რაოდენობის ხმები მიიღო, თუმცა 2012 წლისგან განსხვავებით, 2016 წლის არჩევნებში ეს ძალა წარმოადგენდა ოპოზიციას, ამიტომ მისთვის ნაკლებად იყო ხელმისაწვდომი ის ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსები, რომელიც მისი ოპონენტის ხელში იყო. აღმოჩნდა, რომ ,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' საკმაოდ ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ორგანიზაციად რჩება, რომელსაც მხარი ქვეყნის მოსახლეობის 27%-მა დაუჭირა.

ისევე როგორც წინა შემთხვევაში, აქაც მნიშვნელოვანია გამოვყოთ ის რეგიონები, სადაც ამ პარტიამ განსაკუთრებული მხარდაჭერა მოიპოვა. ეს რეგიონებია: ქვემო ქართლი (რუსთავის გარდა), სამეგრელო და სამცხე. ამ სამ რეგიონში ოპოზიციურმა ძალამ მთელი ხმების თითქმის მესამედის მოპოვება მოახერხა. აღსანიშნავია, რომ სამეგრელოს და სამცხის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა 2012 წელსაც დაუჭირა მხარი ამ პარტიას, ასევეა ქვემო ქართლის რეგიონი, რომლის დიდი ნაწილიც ეთნიკური უმცირესობებით არის დასახლებული. განსხვავებით მეორე რეგიონისგან (ჯავახეთი), აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თუ მანამდე აღიქმებოდა, რომ ეთნიკური უნცირესობები მხარს უჭერდნენ მმართველ პარტიას, ამ არჩევნებზე სხვა ტენდენცია შეინიშნა და ხმები გაიყო, რაც ქვეყანაში და კონკრეტულად ქვემო ქართლის რეგიონში ეროვნული უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრირების ხარისხის გაზრდაზე მიუთითებს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია აჭარა, სადაც, მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლებო ძალას აღარ წარმოადგენს ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'', მისი ამომრჩევლების რაოდენობა ყველაზე ნაკლებად არის შემცირებული. თუ 2012 წელს პარტიას მხარი აჭარის ამომრჩეველთა 37%-მა დაუჭირა, 2016 წლის არჩევნებზე ეს მაჩვენებელი თითქმის 29%-ის ტოლი იყო. მსგავსი სიტუაცია იყო იმერეთშიც, სადაც საკმაოდ მყარად შეინარჩუნა ოპოზიციურმა პარტიამ თავისი ამომრჩეველი.

რაც შეეხება ადგილებს, სადაც ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მიერ მიღებული ხმების პროცენტული რაოდენობა წინა არჩევნებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა და, ამავდროულად, 2016 წლის არჩევნებზე ყველაზე ნაკლები ამომრჩეველი ჰყავდა ამ პარტიას, ეს რეგიონებია:

- ჯავახეთი, სადაც ამომრჩეველთა ხმების 19% მოიპოვა ამ პარტიამ, მაშინ როცა 2012 წელს ეს მაჩვენებელი 77%-ს აღემატებოდა;
- შიდა ქართლი, რაჭა-ლეჩხუმი, გურია და მცხეთა-მთიანეთი, სადაც ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მიერ მიღებული ხმები 2012 წელთან შედარებით თითქმის განახევრდა.



თბილისის ამომრჩეველი 2012 წლის არჩევნებზე ყველაზე მეტად იყო განწყობილი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' ხელისუფლების გაგრძელების წინააღმდეგ, რაც მაშინდელ მონაცემებზეც

აისახა, რომლის მიხედვითად, ყველაზე ნაკლები პროცენტი რეგიონების შორის სწორედ თბილისში მიიღო (27,1%). წელს კი ეს მონაცემი მხოლოდ 4%-ითაა შემცირებული და ოპოზიციურ პარტიას თბილისელი ამომრჩევლების 23,3%-მა დაუჭირა მხარი. ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ ყველაზე ნეგატიურად განწყობილი ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიმართ'' თბილისის მოსახლეობაა. ასევეა საქართველოს სხვა მსხვილ ქალაქებში: რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში, სადაც ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' მხარდამჭერთა წილი მთელს ელექტორატში მცირედითაა შემცირებული, განსხვავებით გამარჯვებული მმართველი პარტიისგან.



ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოულოდნელობა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე იყო ,,პატრიოტთა ალიანსის'' პარლამენტში შესვლა. ამ პარტიის პოლიტიკურ რეკლამებში ხშირად იკითხებოდა მკვეთრად ნაციონალისტური ლოზუნგები, რის გამოც ხშირად კრიტიკის, ზოგჯერ კი - დაცინვის ობიექტიც ხდებოდა. აღსანიშნავია, რომ შეიქმნა მოლოდინი, თითქოს ამ პოლიტიკურ ძალას ხმა ძირითადად სოფლის მოსახლეობამ მისცა (აღნიშნულზე აქცენტს ხშირად თავად პარტიის ლიდერები ამახვილებდნენ), თუმცა მონაცემთა დამუშავების შემდეგ აღმოჩნდა, რომ მიღებული ხმების თითქმის ნახევარი სწორედ დიდ ქალაქებზე მოდიოდა (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი). ,,პატრიოტთა ალიანსის'' მიერ მიღებული საერთო ხმების 34% თბილისზე მოდიოდა, მაშინ, როცა მსგავსი შედეგი პარლამენტში შესულ არც ერთ სხვა პარტიას არ ჰქონია.

საარჩევნო პერიოდში იყო მოლოდინი, რომ მსხვილ ქალაქებში მესამე მნიშვნელოვანი ძალა იქნებოდა ,,დემოკრატიული მოძრაობა'' (ნინო ბურჯანაძე) ან ,,თავისუფალი დემოკრატები,, (ირაკლი ალასანია) და

მათი უპირატესობა ,,პარტიოტთა ალიანსის'' მიმართ სოლიდური იქნებოდა, თუმცა ეს მოლოდინი არ გამართლდა და ალიანსი თითქმის ყველა მსხვილ ურბანულ ოლქში წარმოდგენილი იყო, როგორც მესამე პარტია ქართული ოცნების და ნაციონალური მოძრაობის შემდეგ. თბილისსა და ქუთაისში მის მიერ მიღებული ხმები მხოლოდ რამდენიმე მეათედი პროცენტით ჩამორჩება სხვა პარტიის (,,თავისუფალი დემოკრატები") მიერ მიღებულ ხმებს აღნიშნული ფაქტის ვიზუალიზაციას წარმოადგენს ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა (დიაგრამა 4).



თავისი პოლიტიკური რიტორიკიდან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ ,,პატრიოტთა ალიანსმა" ყველაზე დაბალი მხარდაჭერა მოიპოვა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ არეალებში, სადაც მის მიერ მიღებული ხმები საერთო ხმების 1%-ის ფარგლებში იყო.



დასკვნა

რეგიონული თავისებურებების კვლევისას, მას შემდეგ, რაც უკეთესი ვიზუალიზაციისთვის შეიქმნა ციფრული რუკები, განსაკუთრებულად გამოიკვეთა ერთი ტენდენცია: ქართველი ამომრჩევლის ელექტორალური ქცევის ჩამოყალიბებაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ფაქტორთან ერთად ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორი. ამის ნათელი დასტურია აჭარა და გურია. თუ გადავავლებთ არჩევნების 2012 და 2016 წლის მონაცემებს თვალს, დავინახავთ, რომ ზემო აჭარის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე არჩევანს ქვემო აჭარის რეგიონისგან განსხვავებულად აკეთებს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს განსხვავებები ისტორიულ მხარეებს შორის ძირითადად გამოწვეულია ორი მიზეზით: 1. განსხვავებები ეკონომიკურ საქმიანობაში; 2. ისტორიული განვითარების თავისებურებები.

ხელმძღვანელი: გიორგი გოგსაძე, პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

ლიტერატურის მიმოხილვა

1. Davis S. (July 2008). Elections, Legitimacy, Media and Democracy: The Case of Georgia. Nationalities Papers, Vol. 36, No. 3

2. Chkhaidze V., Gogsadze G., Salukvadze I., Sichinava D. GENERAL CHARACTERISTICS AND REGIONAL PATTERNS OF ELECTORAL BEHAVIOR: 2008 PRESIDENTIAL ELECTIONS IN GEORGIA.

3. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოქვეყნებული 2012 და 2016 წლის არჩევნების შედეგები.